ის

მუდამ ის... ყოველგან ის... ყოველისფერში ის...

ქსელებში გახლართული წარმოუდგენელ ტანჯვასა ვგრძნობ და უტკბესს ნეტარებას!

ღრუბლის ნაფლეთები მისცურავს ცაზე, ერთმანეთს ასწრებს, ჯგუფდება და--- საკვირველია! -- ნათლად, ცოცხლად, ათასნაირად, გარკვეულად მიხატავს... მას.

ბალღის ტიტინში მის უმანკოებას ვხედავ; ვაჟკაცის გულმკერდში -- მისსა მხნეობას.

ზღვის უფსკრული --- მისი გონების სიღრმეა; ჩანჩქერი -- მისი აზრის სიმკვირცხლეა.

ამომავალი, მილეული მთვარე --- მისი სინაზეა; მზე -- გამაცოცხლებელი ძალაა მისი.

ქაცვს, ეკალს ხელით ვგლეჯ --- მეშინია არ გაუკაწროს მას პატარა ლამაზი ფეხები; ვარდს, იას ვრგავ, ვრწყავ -- იქნებ ოდესმე დაყნოსოს იმან.

ის მეუბნება ნანას. ძილშიაც მეცხადება... ის მაღვიძებს...

მუდამ ის... ყოველგან ის... ყოველისფერში ის...

ქსელებში გახლართული წარმოუდგენელ ტანჯვასა ვგრძნობ და უტკბესს ნეტარებას!

1909 წ.